

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადიციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 51

ქ.თბილისი

2019 წლის 19 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 19 აპრილს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. სრვ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჟყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაიძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უმღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრვ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ნ. მგელაძის ოქმი, მთავარი მსაჯის თ. გვირჯიშვილის და თანამსაჯის გ. ჭაფოძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, მოხსენებითი ბარათი და სრვ-ს სამსაჯო სამსახურის უფროსის დ. შუბითობის წერილი ამა წლის 31 მარტს, რეგიონალური ლიგის მატჩზე, სტეფანწმინდის „ყაზბეგი“-სა და თბილისის „დევები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. სტეფანწმინდის „ყაზბეგი“-ს მორაგბე ვაჟა მაისურაძე - მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. სტეფანწმინდის „ყაზბეგი“-ს მხრიდან დაირღვა მოთამაშეთა შეცვლის წესები.

საისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრვ სადისციპლინო კოდექსის 2.1.21, 2.2.2, სრვ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 1.20. 2.2 პუმქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სტეფანწმინდის „ყაზბეგი“-ს მორაგბე ვ. მაისურაძე დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
2. სტეფანწმინდის „ყაზბეგი“ დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.2 პუნქტი და კლუბ სტეფანწმინდის „ყაზბეგს“ დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრვ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე


/მ.თავზარაშვილი/